№ 2

ფასი 5 კაპ.

საბავშვო ალმანახი

აპრილი, 1912 წ.

ზუფნა

ალმანახი გამოვა დროგამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შრომის სტამბაში, ალმანახისათვის.

ინტელიგენტების თამაში

მესტვირის სიმღერა:

სოფელ-სოფელ ვიარები
ჩემი გუდა-სტვირითაო,
ვისაც უნდა, ქორწინებზე
ამიყვანოს ქირითაო.

კამპანიას გავაცოცხლებ
ამ ჩემი საყვირითაო,
გუდას მხრებში ამოვიდებ,
დავამღერებ პირითაო.

ქეიფობას გავაგრძელებ—
მთელი ორი კვირითაო,
და როდესაც გამოვთვრები
თეთრი ღვინით სვირითაო—

შუბლში მუშტსა მიგაკერებ
ქვაითა და გირითაო
და ამ რიგათ იქვე მიწას
დაგახნიებ ცხვირითაო!

თამადას ავათამაშებ
ბუქნით გასაკვირითაო,
როცა ლხინი მომწყინდება
სახლში წავალ ვირითაო.

ვინმე გიჟმა ჩემკენ ცხენი
თუ გამოაჯირითაო,
დამატაკებს, გადმომაგდებს
ძირში - თავდა-ყირითაო.

მეტის-მეტი ლხინი მუდამ
შეიცვლება ჭირითაო,
ჩემს სიცოცხლეს დავასრულებ
ბოლოს, გასაჭირითაო!..

გურიანთელი.

დიდება ბრძოლაშია.

ვისთვისაც თავის ამაღლება
სასურველია,
ვინც კი რომ ტანჯვად არ მიიჩნევს
რაც, რომ მწველია,
ვინც თვისი საქმის, ერთი სიტყვით
გადამჭრელია—
მან სხივად უნდა მიიჩნიოს
სატანჯველია!..

—

უნდა განდევნოს, რაც მისს გულში
მოძმის შურია,
თვისკენ მისწიოს ვინც გარშემო
უბედურია,
იბრძოლოს მუდამ!.. ჰხარობს ვისაც
ბრძოლა სწყურია!
ცხოვრების ბრძოლა შენი თავის
სამსახურია!..

ნოშრევანიძე.

ორი სურათი

I.

მძულს.

მძულს მეზიზღება ზამთარი,
თოვლიან-ყინულიანი,
ნაბუქ-ნამქერში გამხვია,
დღე არ მიჩვენა მზიანი.

ცა, დედა-მიწა, ზღვა, ხმელი,
შავ ღრუბლით არის ბურვილი,
სიცივემ გული გაჰყინა,
მომიკლა ტრფობის წყურვილი.

ყორანი თავსა დამჩხავის,
გამაძღარია ლეშითა,
დათვი ჩემს ირგვლივ ბუტბუტით
დახეტიალობს ხვნეშითა.

ხელ-ფეხს მიბორკავს ძალითა,
გაშავებული, გრძნეული,
ობოლი სულის მტანჯველი,
იყოს ღვთისაგან წყეული.

II.

მიყვარს.

მე მიყვარს ტურფა ზაფხული,
ფერადი, ყვავილიანი,
ბულბულის სტვენა საამო,
სამხიარულო წყლიანი.

მე მიყვარს მერცხლის ჭიკჭიკი,
ტოროლას ცაზედ სრიალი,
ცელქი ნიავის თამაში,
მწვანე ფოთლების შრიალი.

მე მიყვარს შაშვის კასკასი,
სიმშვენე მოლაღურისა,
ხმას, რომ ურთავენ ნიავსა,
დამატკბობელი ყურისა!

მე მიყვარს გლეხის ღიღინი,
ყანაში ნამგლის ტრიალი,
მუშის საერთო ყიჟინი,
სამხიარულო გრიალი!..

გ. ოსანაშვილი.

ჯორიკანები

(სურათი)

მოქმედება თბილისში. სცენა წარმოადგენს ნავნთ-ლუღის მიდამოს, მოსჩანს სასაკლაო. გზის პირას ერთი ფანჩატურია, ე. ი. ფიცხით წამოსურული სათონესავით რამე, სადაც შეერიდან ქალები: კოტრობა სონა, კოტლი ევა, ბრმა ნინა, შლეგიანი კატკა, 2 სონა, გოგოლანთ ხორეშანა, ხორაჯი შაშო, და შლაპუნანთ ვარო...

ცივი ქარი უბერავს, სცივათ უფეღას და ერთმანეთს ეკვრიან, მზიანი დილაა.

ვარო. რა ნაირათ უბერავს ქაა! ასე მგონია გვერდებში მახათებს მირჭობენო.

სონა. მეხი კი დაგაყარე! შე უბედურო, რა თავს იკლავ? გცივა, წადი შინ და თბილათ იქნები!

ვარო. ეიოს! თქვენ გინდათ დროს გატარება და მე კი აღარა?!

ევა. (აჯავრებს) დროს გატარება! შენმა კვნესამ მგონი ინდაურის ნაჭრები გვიწყვია! მეხი კი ჩამოგათხლიშე!

ბრმა ნინა. მოიცათ თვალებიც გაგხეთქიათ! რა დროს ეგენია თქვე გაგლეჯილებო?.. ქვეყანაზე

რა ამბები ხდება, იმაზე კი არა ლაპარაკობთ და მოჰყოლიხართ ტუტუცობას. ვისაცა სცივა შინ წავიდეს, ვისაც არა აქ იყოს.

ვარო. რა იყო ქა, აი დიდება შენთვის ღმერთო! ქა ცეცხლი ვთქვი, პირი არ დამწვაო! აღარა მცივა, ეხლა?!.

2 სონა. გოგო ნუ იცი ეგრე ახირება! მოიცადე, იქნება რას ამბობს ჩვენი ნინა, ხომ იცი კარგის მეტს არაფერს იტყვის?

კატკა. მერე ურიგოს ვიღა იტყვის? აბა ჯერ მაცალეთ, ისეთი რამე გითხრათ, რომ იმისთანა თავის დღეში არ გაგეგოთ, მაშა!

ყველანი. თქვი რაღას უყურებ?!

კატკა. ვუი დამიდგეს თვალები ქა, ეს რა ამბები ხდება ამ ოხერ უბანში!

ყველანი. რა იყო რა? თქვი!

კატკა. (მითომ ჩუმათ) ქა, წუხელის ჩვენი ოჰანეზა დვორნიკი თაქოს მიჰპარვია!

ყველანი. ვუი, ვუი, ვუი!

ხორეშანა. (გაჯავრებული) მერე რო მიჰპარვია, თვალები სადა ჰქონდა?

კატკა. თავის ქმარი ჰგონებია!

ყველანი. მერე, მერე?!

კატკა. მერე, ქმარი რო შესულა, დაუნახავს, ზედ მიუსწვრია, ოჰანეზა გაქცეულა. ქმარს უთქვამს: ვინ იყო ეგ კაციო? შენ იყავ, ვინ უნდა ყოფილიყოო? უთქვამს ნამძინარევ თაქოს და მხარი უცვლია. ქმარსაც შერცხვენია და გაჩუმებულა!

ახრაჯი შაშო. მედა ჩემა სულმა კარგათ მოქცეულა! მაშ კარგი იქნებოდა, რომ ერთი აყალმაყალი გაემართა და ერთი სისხლი ჩაეგდო?

კოჭობა. ეგრეა მაშ! ქა ზოგ ოხერმა იცის, მაგნაირ რამეს, რომ გაიგებს, ყვეყანას შეყრის, რა არის, ის ოხერი შენც გეყოფა და სხვასაც!.. (იცინის).

ევა. (კატკას) ჰაი გიდი ჰა! რა არხეინათ ლაპარაკობ! შენ არ იყავი, რომ შენ ქმარს მთელი ქვეყანა თავზე მოახვიე ლიზასთან რო მოასწარი?

ნინა. მოიცათ თვალიც დაგიდგეთ! (2 სონას) გოგო, წუხელის ლოტო არა გქონდა?

2 სონა. მაშ ქა! ეჰ რა გამოვიდა? რა ყრია შიგ? ოთხი აბაზი ავიღე, ათი შაური დავხარჯე! თვალებიც გაჰხეთქიათ!

ხორეშანა. გოგო, მაშ რა ხეირი გაქვს?

2 სონა. რა ხეირი, თუ ვინმე ჯეელები ერთმანეთს გადაეკიდებიან, მაშინ ჰო, ერთი ორი მანეთის გამორჩენა არის.

ვარო. მოიცათ ქა! იცით რა გავიგე?!

ყველანი. რა?

ვარო. პანტკანიკის ბაღი უნდა გახვრიტონ და შიგ ნახვრეტში ხალხმა უნდა იაროსო!

2 სონა. ეგ არაფერი. ამ გასაოხრებელ ბოლნიში, ერთი კამეჩი დაუკლავთ, შიგ ერთი გველი გამოსულა!

ყველანი. (პირჯვარს იწერენ). ღმერთმა დასწყევლოს ჩვენზე ავის მოლაპარაკე!.. (გაივლის ერთი ახალგაზრდა).

2 სონა. ქა იცით ეგ ყმაწვილი ვინ არი?

ყველანი. ვინ არი ვინ?

2 სონა. ამბობენ არგანჩიკიაო!

ნინა. შე ამოსაწყვეტიშვილო, ბრმა მე ვარ და შენ კი ვერასა ხედავ! შე თვალდამდგარო, როდის გინახავს მაგნაირი არგანჩიკი ჰაა? კაცი აბრაშუმის ტანისამოსში ბრწყინავს, ოქრო-ვერცხლით გაჭედილია და არგანჩიკიაო! აი, ხოლემ გლუხ!

2 სონა. რა ვიცი ქა ეგრე მითხრეს.

ვარო. ეგრე რო გითხრეს, განა ყველაფერი უნდა დაიჯერო? ნიკაანთ კეკემ იცით, რა მითხრა?

ყველანი. რა, რა?

ვარო. აღდგომა დღეს მაგაანთა ყოფილა, თურმე ისეთი სუფრა აქვს გამართული, რგორც კარგი ღენერალი, მაშა! რა ინდაური, რა ქათამი, რა გოჭი, სრადნიკა, ბატკანი. მამაჯვარის ლავაშები, კარაქი, ტრაბუნა, ზუთხი, ლოქო. მერე სასმელები? ღვინო ხომ არაფერი, ან არაყი... ლიმონატკაზი, ლამახორი, ზოდიანი კონდაკი, სულ გრანიცისა... იმ უბედურს, ერთი რმუკა უშნოვკა დაუღევია და დამთვრალა! (ამ დროს ისმის კინტოს ხმა: „აბა წვანილი, წვანილი, წიწმატი, პრასა, ქონდარი, ტარხუნა, პიტნა, ბოლოკიი“).

ხორეშანა. დაუძახეთ, დაუძახეთ!

კინტო. (გამოჩნდება, ხელში ერთი კონა ბოლოკი უჭირავს, ქალებს, რომ დაინახავს მიუახლოვდება) აბა, კარგი ბოლოკი, შიშაკია ჰაა, არ გინდათ?

2 სონა. აბა ვნახოთ! (გამოართმევს).

კატკა. (ხელიდან გამოგლეჯს) მოიცა ერთი ვნახო (მოგლეჯავს და სჭამს). უი ქა ფუყეა!

კინტო. დალოცვილო ჩემი თავიც ფუყეა მაშ გადავაგდოთ რაღა? (ბოლოკის კონა, გადადის ერთი ხელიდან მეორეში, თითო ოროლას გლეჯენ, ამასობაში თავდება კიდეც).

ხორეშანა. აჰა შვილო წაიღე, არა ყიდულობენ, (აწვდის მხოლოთ ფოჩებს).

კინტო. რას ამბობ დედი! ბოლოკი შეგიჭამია და ცარიელ ფოჩებს მაძლევ—წაიღეო, რა ვირი ვარ?.

ხორეშანა. მე რა ვქნა შვილო?

კინტო. რა უნდა ქნა, ფული მამე!

2 ხონა. რა ფული უნდა მოგცენ, რას ამბობ? ერთმა ხომ არა ჭამა?

კინტო. რა ჩემი საქმეა? ყველამ მომეცით რა? შეჭამეთ—ფული, ფული. მე არ ვიცი! მეტი მოთმენა აღარა მაქვს!

ნინა. მამა გიცხონდა, აპელატები არ აგვყარო აი, რას გვიზამ?

კინტო. თუ ალაგას ჩამივარდებით მე ვიცი რასაც გიზამთ (შეჰყურებს ვაროს), მაგრამ ეხლა რა გითხრათ? რა არის არა გცხვენიანთ? რას ჩამომსხდარხართ? ან ქმარი არა გყავთ, ან შვილი, ან სახლი, ან კარი?.. თქვენი შიშით კაცს ველარ გაუვლია ამ ოხერ გზაზე, ხწორეთ ყაჩაღები ხართ რაღა! ვინც გაივლის, თქვენ უნდა გაჭოროთ!.. ოჰ, თქვენი ქმრების ულვაშები შევარცხვინე!

2 სონა. (გაწიწმატებული) აქედან დაიკარგე შე ნაგლეჯუა შენა!..

ყველანი. წადი დაიკარგე შე ოხერო შენა!

კინტო. (გულმოსული) აი თუ დავიკარგო... (ბოლოკის ფოჩებიან კონას შიგ სახეში მიარტყამს 2 სონას და გაეშურება. ქალები წამოვარდებიან და წივილ-კივილით მისდევენ უკან).

მ. ლელაშვილი.

(ფარდა)

მათხოვარა.

ძონძ-კონკებში გახვეულსა ფეხშიშველს,
სამოწყალოთ გამოწვდილი გაქვს ხელი,
თოვლზე ზიხარ, ირგვლივ ქარი გიბერავს,
მგზავრისაგან მოწყალებას მოელი.

კალთას გიწევს, ბავშვი, ეძებს ძუძუსა,
სიცივისგან აკანკალებულია,
მკერდს გეკრობა, უსიტყვოთ გიტიტინებს,
ბატარა და ჭამას მოკლებულია!

შეამჩნიე ვიღაცა დიდი კაცი,
იმედი გაქვს მოგცემს მოწყალებასა,
ქულაჯაში გახვეული ბრძანდება,
განა გრძნობს კი ის შენს გაჭირვებასა?

ჩაგიარა ზედაც არ შემოგხედა,
შენს ტანჯვაზედ მას არ შესტკივა გული,
ეჰ დობილო! ნურც გიკვირს, სად გინახავს?
მდიდარს ჰქონდეს ღარიბის სიბრალული!..

ანნა კავთელი.

ღ ა მ ე.

ფრთა გაეშალა სევდისა ღამეს,
ნისლიან მთასა ჩასძინებოდა,
ცის კამარაზე გადაფენილი,
შავი ღრუბელი ცრემლად დნებოდა...

***

და მწველი ცრემლი მწუხრის ღამისა,
მინდვრისა ბალახს ზედ ეფქრვეოდა;
სუსხი აჭკნობდა გაზაფხულის ბუჩქს
და იქ ნუგეში ჩუმად ჰკვდებოდა...

***

ვიდექ მარტოკა, დაფიქრებული,
ჩემს გულს ნაღველი არ შორდებოდა,—
მხოლოდ ცრემლები სცვიოდა თვალსა
და ბუნების ცრემლს უერთდებო!..

სანდრო დავითიშვილი.

ქალების პოეტი

ერთ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს, ძალიან ხალისი ჰქონდა წერისა, მაგრამ ვერაფერი მოეგონებინა, ვერ მოეხერხებინა. იფიქრა: „ქართველებს ისეთი პოეტები გვყავს, რომ იმათი ნაწერები ქვას გახეთქენ და მე ისეთი რა უნდა დავწერო, რომ გამოვჩნდე სადმე, ან გავაკვირო, ან მოვაწონო? არა, იმათ ნაწერებს უფრო მომეტებული მამაკაცები კითხულობენ.. დიაღ, დიაღ, ქალებს პოეტი არა ჰყავთ და მე ვეყოლები!.. დაიწყო:

ცუცუნიჯან! გენაცვალე!
ვაჰ კოკობი ძუძუები!
ერთი ღამე რომ მაჩუქო,
დმერთმანი ზედ დავაკვდები!!!
ეგ თვალები მელნის ტბაა,
ჩემი ენა—კალამია!
რაც გინდ მითხრა, შენგან ლანძღვა,
ჩემთვის ტკბილი სალამია!
შენ ვარდი ხარ სამოთხისა,
მიბულბულე, დამიმონე,
სული სულსა შემიერთე,
ჩამეკარი, ჩამიკონე!..
მოგიმღერებ ძილისპირულს,
შიგ ჩავაქსოვ ოქროს ჰანგებს,
ცრემლებათ ზედ დაგადნები,
განა მაწყენს? მარგებს, მარგებს?..

ვერ გავიგებთ გათენებას,
მზე რომ გადმოგვიქათქათებს,
თვალებ'ში სხივს შემოგვაწვდის,
სულსა და გულს გაგვინათებს!
ბედნიერნი გავწევთ ბაღში,
მიგვიზიდავს მუხის ჩრდილი,
ყვავილნი თავს დაგვიკრავენ,
წამოგვგებერავს სიო გრილი!
მოჩუხჩუხე ცივი წყარო,
ჩოგვთავაზებს სარკეთ გულსა,
ის გაიგებს მხოლოდ ჩვენსა
საიდუმლოს, დაფარულსა''..

რა შეასრულა ლექსი ესე, მოიწვია ქალები, დანიშნა კრება და წაუკითხა... მოიწონეს. ერთმა წარჩინებულთაგანმა ქალმა გაუმართა დილა, რომელზედაც შეაგროვა ქანქარი უთვალავი და ამცნო ქალთა: „ჰოი დაჩაგრულნო არსებანო! მოდით და ნახეთ, ჩვენც მოგვივლინა ღმერთმა ერთი ახირებული, (არა, ესე არ უნდა მეთქო!) გასაოცარი, სამაგალითო, სათაყვანებელი მგოსანი, რომლისა ცალი არა არს პირსა დედამიწისასა!.".

ქალებმა რა დაინახეს სცენაზე მგოსანი თვისი, ჯერ ხმა არ ამოეღო, რომ ერთი უშველებელი ტაშის კვრა და ყურთა გამჭედი სიცილ-კისკისი გაისმა დარბაზსა შინა ზუბალაშვილებისა... წაიკითხა ლექსი. ნახეთ აღტაცებანი ქალთანი! რომელსა აქვნდა ყვავილნი ესროლეს, რომელსა არა, მრავალნი ხელმანდილსა, ზოგნი აყიროთა (ქოლგებსა), რომელნიმე შლაპათა, რანიცა გვანან კათხათა და ზოგთა იგლიჯეს ჩიხტა კოპები და ესროლეს პოეტსა თვისსა. დღემან აღნიშნულმან დაამტკიცა ყმაწვილი იგი, ქალთა მგოსნათა! და აღსრულდა საწადელი მისი...

ჭინჭარი.

კ ლ უ ბ ი

წარა-მარა ფიქრებისგან,
თავში აზრი ამერია,
ბოლოს მაინც მოვატყუე,
იმერი თუ ამერია!
რას მიქვიან სინდისი,
ნაცია ან ძმა, ერია,
თუმც მეტოქე ბევრი მყვანდა,
მაგრამ ვერვინ მამერია!
ვენაცვალე გამჩენელსა,
კაცის ფიქრი ძლიერია...
აივანზე, რომ დავდივარ,
როცა კარგი ჰაერია,
მაშინ ვფიქრობ, სწორეთ მაშინ,
არ მივდივარ ძაან შორსა,
ისეთ რასმე მოვიგონებ,
არ ეფიქროს ერთი-ორსა.
თავში გეგმა შევადგინე,
მოვიგონე უცებ კლუბი!
ნებაც დამრთეს! აფერუმ ჰა!
არცა კრივი, არცა ჩხუბი!
ახლა ნახეთ ჩვენი კლუბი,
რა ამბავი, დროს ტარება,
თუ რომ გინდათ აქ იპოვოთ
სიცოცხლე და ნეტარება:

—

რა თამაში, ტანც-ოინი,
მანციონი, სეირნობა,
„სიხარული, სიყვარული",
წუთიერი თანაგრძნობა!
გაიხედავ, ბუფეტის წინ,
ინტელიგენტს გაწყობილსა,
დაინახავ, ქალებთანა,
სასმელებში გართობილსა.
აქეთ კეკე შესიციინებს,
იქით ეტრფის თამარასა!
მეტი საქმე რომ არა აქვს,
გააკეთებს აბა რასა?
კლუბი, კლუბი, აბა კლუბი,
ვის უნახავს ამისთანა?
(მართლა კლუბი არ გეგონოთ,
ამას ჰქვიან ყავახანა!)
უფრო მეტი, უფრო მეტი,
რომ არა ვსთქვა სირცხვილია,
აქეთ ხვევნა, იქით კოცნა,
პრაშტა-პრუშტი, ქორწილია!..
აგერ იქით, დიდი სტოლი,
დაქათქათებს ელნქტრონი!
ჰაი გიდი ჭრაქებოჯან!
შეიცვალა ჩვენი დრონი.
ახ სადა ხარ ბრმა თაქოჯან,
დედა იყავ ჩემი განა!
რომ გენახა უცნაური
სანახავი ამისთანა!
მისჯდომიან სტოლს გარშემო
სულ მსხგილ-მსხვილი, ფულოსნები,
დაბალ წრისა არ გეგონოთ,
დიდრონები, ბურჯოსნები!
აქეთ, „დვაციტ", იქით „ტრიციტ",
„დვაციტადინ", „ტრიციტ-ტრიო",
მე კი ჩემსა კასაშია,
კანდარელის ფულებს ვყრიო!

თქვენ რა იცით! ამხანაგათ
„დიდი კაცი“ გავიხადე!
რაც მინდოდა ავასრულე,
გაზეთებში განვაცხადე!
მომაწყდა და რა მომაწყდა
ხალხი ბევრი, უთვალავი!
ვინაც კლუბი მოიგონა,
გადანათლდეს მის საფლავი!..

მ შა.

გურული სცენა.

ფოტინაი და ფოსინაი.

ფოტინაი.—ათასი მადლი ბუნებას, რომ მშვიდობით გნახე ჩემო ფოსინე!

ფოსინე.—ღვთის მშობელმა მიცოცხლოს შენი თავი გულო!

ფოტ. რა ქენი შავ, იყიდე საღდგომო ხალაოები?

ფოს. უი შენ მტერს ღმერთი გუუწყრა, რაღა ვიყიდე უი შაო, კი იტყვი და მეორე აღდგომამდი გაჩხირებული გენახო, ჩემდა ან კაცზა ერთი აბაზის რამე იჭრებოდეს ამ საღდგომოთ. სადაა შენი ჭირიმე. თელი აი ზამთარი საცოდავმა ყაძახმა ტყეში იღლიტინა, რაცხა ორი ჯინკი გამოტიკნა, პალიასტომში თურმე კალამ დარანი გეიარა, ფოთში სული კბილით ჩეიტანა. დედავ, შეუთქმან ჟამ-გასაჩენ ვაჭრებს თურმე ერთხმათ პირი, იგენის პირზე დააყარეს უყი მიწა ქვესკნელი, და ნაფოტაის ფასათ ჩეიყარეს ხელში. ოი იგენის ხელი და ფეხი გამეგონოს გაფიჩხებული. იგენი ყოველთვის ჩვენ ნამუშიერს დარანში აროონიებს იგენმა გეიარა ჯოჯოხეთში. ჰო გულო და რაცხა ორი კაპეიკი მეიტანა, ხუცესს წუთღლიტა, ბოჩიკს წუუჩქმიტა, პაწეი ძმას, პაწეი იმას და ხომ კი იცი, ფშუკვა მოადინა, ჩვენ ვიღა ჩიოდა დამრჩა ცინცქლაი გასაჩენი ციცაი დედის ხორცაი, ნაბურავში ცეცხლი მიქონდა, რას ვიზამდით მივლოკდით ხან ერთ ვაჭართან, ხან მეორესთან და რავარც იყო გვეეცით, რომ ხედავ აი ბარე ოცი მანეთისაა, ყორიფელი ცეცხლათ და ნაფთათ.

ფოტ. ოი ცეცხლი და ნაფთი გუუჩთა და გადიებრაწა თავზე მათი ნადუქნევი, რაფერ ვარესად ყოლთვინ ცეცხლს უკიდებენ ყოლიფერს. მერე რაა აი რა-და-რა გიყიდია.

ფოს. არ იცი, დაო ახლანდელი ციცაების საქმე? ახალ პანსონის პოლსაპოშკაო, რაცხა ეშმაკი შანთი კელიო, ლეტნოი ქუდი პუდრიფერიო და ორმოცი აღაი-მალაი.

ფოტ. რას იზამ გულო, წახთა ბორჯი, შენი ციცაი კიდო სხვაზე მაჯუნია, ჩვენც ციცეები ვიყავით აბა რა ვიყავით, მარა ბიჭებს პირიქით არ ვეტახუჯებოდით. აგენი კი ჯვარი აქანაი, ოქროს საყვირი და მარტუაი ეგერ ერთ მუხუროში ხუთს კი აქ თურმე ცხვირამდე მუცელი.

ფოს. დიდუვ-დიდუუ! რა თქვი აი ენელი, მანამდე არ მიაწია ჩემი ძვალი და ბილი, არა ამისთანაი აფერი მყავს, მარა მაინც საშველი არაა ამ ნააღდვომევს რაცხა თუ არ ვქენი.

ფოტ. დედავ გულო, ჩვე ეგება არ დაგვიჯეროს თვარა, აგერ ივაკეიის ბიჭი, საკუთარი ოჯახი ხუცის ნაგრამი. მზე და წვიმის მეტი მისას აფერი ჩეიხედავს. კრიმანჭულში ჩიტს გასცინებს, საყავეში პირველი კაცია, პაწეი მუშაობა კი ეზარება, ოჯახშიც აფერი ბარაქა აქ კიდო ღვინის სმაი და ჩხუბიც ქე უყვარს, მანდამაინც ლამაზიც არაა, ცეკვა იცის და ჩალხიანი ბიჭი კია, ისეი სოფელს დიეთხუე და გუუშვი აგერ სტანცია, აგერ ქალაქი, მარტუაი ახლა რომ ფარნები დადგეს ერთ სოფლათ იგი ღირს, აბა სუდი, ფოშტა, კლასები, ფაიტონები, დაჩის პოეზდი, ყოლიფერი სათქმელია, ერთი სიტყვით პეტრე ბურღი თუ გაგიგონია იგია სხვაი რაღაი, მარა იცოდე სამას კარჭალ მანათს არ დაგჯერდება კი.

ფოს. ვაი უფულობას თვარა ახლანდელ ციცებს რომ უნდა იმისანაი კაცი ყოფილა, მარა რაცხას ვიზამ სულ რომ გულზე ქვაი დევიკიდო პირზე ტყავი ევიხადო აბა რასაშველი მაქ?

ფოტ. ჰო და აბა სხვაი ჩემი საქმე იყოს. სხვაი გულო, წროულს თუ შვიდობაა ვის ყაჭს იჯდენ?

ფოს. შენიანებ დაიავ, რა ვიცი, ისევლე სვანიშვილს თუ მივეწყვე, აბა დედა, შარშან კაკაბაძის თესლმა რომ აანძაღა ყოლიფერი ისე მისეულობა ანძაღდა.

ფოტ. რა ვიცი დაო, აღმართი და ჩაღმართიო, არც ერთია წაღმართიო, მე არ დამიკლია არც სვანიშვილი, არც გვარჯალაძე და ლაფიერაი იგი გატლეკილი კაკაბაძეც, მარა ყველაი ერთმანეთის ვარესია, დიეთხუა გარჩევას თვარა ისე მე სიმონისაზე ვიყავ შეჩოული.

ფოს. შაქრათ შენთან მუსაიფი მარა ხედავ რა ბორჯი შექნილა. ისე ციცაის საქმე გახსოვდეს შენი ჭირიმე, შვიდობით!

ფოტ. ღმერთმა შვიდობა მოგცეს ჩემო დაიავ და ციცაის საქმეს ნულარ კითხულობ ჩემ კისერზე იყოს!..

შხანკოლა.

წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვ უმორჩილესათ დაუთმოთ ადგილი ამ წერილს. თქვენ პატივცემულ ალმანახის სააღდგომო ნომერში მოთავსებული იყო გამოცანები ს. აცანიდან: „აგეწვათ“-ს ფსევდონიმით; ერთ იმათგანს, რომელსაც გამოცანის მეორე ნაწილი ეხებოდა მართლაც, რომ მეტად აწვია და სხვა მოსაშუშებელი მალამო რომ ვერ ნახა, ჩემზე მოიტანა იერიში: შეუთხზავს რაღაც ქუჩური ლექსი ჩემზე და სოფელში ატარებს და უკითხავს ხალხს. და აგრეთვე არა სასიამოვნო ხმებს ავრცელებს ჩემზე; გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ხსენებული გამოცანის ავტორი მე არ ვყოფილვარ; მას კი ვაძლევ წინადადებას თავის სამარცხვინო საქციელზე ხელი აიღოს.

მასწავლებელი **გრ. მაჭავარიანი.***)

---

*) ალმანახის გამომცემელი აცხადებს, რომ ზემოხსენებული გამოცანების ავტორი გრ. მაჭავარიანი არ არის.

პროვინციებიდან.

ლანჩხუთი.

დიდი ხანია დახურეს
ჩვენს დაბაში სამკითხველო
დაღვრემილი შენობა კი
შენდობას გთხოვს წამკითხველო.
მოსთქვამს, რომ ჩემი ფულები,
სადღაცა გადაცურდაო,
რადგანაც ჩემი აქ ყოფნა
არავის არა სურდაო.
ისე გაფანტეს წიგნები,
როგორც უსარდლო ჯარიო,
სუყველას გადავავიწყდი
არვის აქვს ჩემი ჯავრიო.
გამომიხურეს კარები
ვითომც სენაკი ვიყოვო,
ხედავთ ინტელიგენციამ
როგორი საქმე მიყოვო?
ასრე მოსთქვამს, რომ ფულები
ჩამაბარონ უნდა ჩქარად:
ჯერჯერობით თუმცა ვსდუმვარ
მაგრამ ვფიქრობ ავლსდგე მარად.
იმას ვიტყვი და მას ვიზამ
რაც რომ არის კარგებიო:
გამვლელ-გამომვლელისათვის
ღიათ მქონდეს კარებიო.
ნადზირატელის წყალობით
ჯერჯერობით ასთე მჭირსო,
მაგრამ რა ვქნა, ნათქვამია:
გამკლავება უნდა ჭირსო.

მარგარიტაშვილი.

—

ოზურგეთი. (იპოლიტეს სიმღერა):

ქვრივი მიყვარს, ქვრივი მე,
ქვრივის სულის ჭირიმე,
მე იგენს დავივიწყებ?
არ შემირცხვეს პირი მე
სულ-ყველა რომ დაგიძდა
ეს რა ჩემი ბრალია?!
ვფიცავ მათის ეშხისგან
ჩემი გულიც მთვრალია.
სადაც წავალ სულ მახსოვს
იმათ ვენაცვალები,
ყველა თავს შამოევლოს
ოზურგეთის ქალები.
ქვრივი მიყვარს ქვრივი მე
მათი სულის ჭირიმე,
რა მინდა ქმარიანთან—
ავიტეხო ჭირი მე?!.

ქაჯიშვილი.

—

აცანა. (პასუხათ „დუშტი ბაზარს“ და მის კამპანიას.

მეცინება თქვენმა მზემა
მე რომ ბეწვს მიძებნით ჩინში,
თვალში თვითონ დვირო გიდევთ
თივაც გირევიათ ტვინში.

გრიშა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(ვუძ. სამონს)

ლანჩხუთსა შინა, ვინმე ქაბუკი
ჯიჯგვი და მრგვალი, ვითარცა ბუკი,
ჯდა მაგიდასთან დაფიქრებული
და მრისხანებით უცემდა გული;
აიღო თითი შუბლზე მიიდო
და შეარყია შიგ რაცა იდო;
გადმოალაგა ღრმა აზროვნება,
ჭკუის ნაყოფი და ხელოვნება.
გადააჭრელა დიდი უსტარი,
(ალბათ ჰყოლია მასაც მუშტარი?!)
თანაც კითხულობს გაკვირვებითა
და თან ახველებს გაჭირვებითა:
„სტყუის ეს ვიღაც ივერიელი,
როგორ დაგვრია უშიშრათ ხელი,

მღვდელ ეპიფანე, დიდი ნესტორი,
ან ხუსკივაძის ვინ არის სწორი?
სახელ განთქმული მასწავლებლები,
„წარჩინებული“ მადამ ქალები,
დიაღ მათ უყვართ ქველმოქმედება,
მარა სამ თვეში რა გაკეთდება?..
მოდი მშრალ ტყუილს
მკითხველს თავს ვახლი,
დავიქირავეთ თეატრის სახლი,
გრძნობს, რომ იტყუა ეს ყველაფერი,
ვითომც სიწითლის გადაჰკრა ფერი! .
ვაჰ თუ შხანკოლამ, გამიგო ესა,
და ალმანახში გამომჭიმესა?..
მარა, დე მოხდეს: (თან ჩაახველა)
ხომ გამიცინებს ქალები ყველა!..“
ბათუმის გაზეთს მუნ წარუდგინა,
მისთვის სცემს თაყვანს მარუსა, ნინა!

იგი შენ.

ტაგიევი

მილიონერ ტაგიევმა,
დედა-მიწა თხარა, თხარა
და რაღაცა მანქანებით,
ბებუთოვი გამოთხარა.
სურდა მისი გადაყლაპა,
მაგრამ ყელში გაეჩხირა,
სხვას უთხრიდა ორმოს და თვით
გადავიდა თავდა-ყირა!
ტაგიევი ჩამოლონდა,
განსაცდელს ვერ გაეპარა,
საქმე რომ ვერ გაისწორა,
მაკლაკოვი დაიბარა.
მანაც ვერა უშველა-რა;
აქეთ ქრთამი, იქით ქრთამი,
ბოლოს სასოწარკვეთილი,
გახდა ცრემლით დასანამი.
შუბს ტომარა, ნემსსა — თვალი,
ვერ დაჰფარავს, ვერ დაჰმალავს...
„სხვის არ მკრძალავს რათა სძრახავს,
ვინც თავისთავს არა ჰკრძალავს!?“

შმაგა.

სალიტერატურო დილა.

სად არის სადა, არა სჩანს,
ჩვენი პოეტი სცენაზე,
არავინ გვინდა მის მეტი,
შაქარი აკრავს ენაზე!

თუ არ ის, აბა ვინ გვეტყვის,
„ჰირიმე“, „გენაცვალესა“,
სხვა პოეტები რათ გვინდა,
გაგვტანჯეს, გაგვაწვალესა!..

არშიყი.

სტამბა „შრომა“, მუხრანის ქ. № 12. გამომცემელი **მ. ლელაშვილი.**

9 977
1912